

TH1 და TH2 ციტოკინური პროფილებისა და ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ინდექსის კორელაცია ფსორიაზის იმუნოპათოგენეზში

თამუნა ლაშაშვილი

თანაავტორები-ნინო მელიქიშვილი, ქეთი მაჭავარიანი, ნუნუ მიცკევიჩი

tamuna.lazashvili270@ens.tsu.edu.ge

ბიოლოგიის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზირი N3.თბილისი, საქართველო.

ანოტაცია

ფსორიაზი წარმოადგენს ქრონიკულ, ანთებით კანის დაავადებას, რომლის იმუნოპათოგენეზი მჭიდროდ უკავშირდება T-helper უჯრედების დისბალანსს, განსაკუთრებით Th1 პროფილის გააქტიურებას. ბოლო პერიოდში იზრდება ინტერესიც ციტოკინური პროფილების და სისტემური ანთების მარკერების, მათ შორის ნეიტროფილ-ლიმფოციტური ინდექსის (NLR), ურთიერთქმედების მიმართ, რაც ხელს უწყობს პერსონალიზებული დიაგნოსტიკისა და თერაპიული მიდგომების გაუმჯობესებას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ფსორიაზის მქონე პაციენტებში Th1 და Th2 ციტოკინური პროფილებისა და ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ინდექსის (NLR) შეფასება და მათი კორელაციური ანალიზი.

მიღებული შედეგების მიხედვით, ფსორიაზის მქონე პაციენტებში IL-2-ის დონე მნიშვნელოვნად მაღალი იყო როგორც ჯანმრთელ ($p=0,003$), ასევე ალერგიულ ჯგუფთან შედარებით ($p=0,007$), რაც მიუთითებს Th1 იმუნური ხაზის გააქტიურებაზე. IL-33-ის დონე კი დაბალი აღმოჩნდა როგორც ფსორიაზის ასევე ალერგიის ჯგუფებში, რაც მის არადომინანტ როლს ასახავს. შეინიშნებოდა IFN- γ -ის დონის მომატება ფსორიაზის მქონე პირებში თუმცა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ გამოვლენილა ($p > 0.15$).

IL-2-სა და NLR-ს შორის გამოვლინდა დადებითი კორელაცია, რაც მიუთითებს მის მნიშვნელობაზე როგორც სისტემური ანთების ინდიკატორი. IL-33-სა და IFN- γ -ს კი სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია NLR-თან არ ჰქონდათ.

კვლევამ დაადასტურა ფსორიაზის Th1-დამოკიდებული იმუნოპათოგენეზის წამყვანი როლი. ფსორიაზის მქონე პაციენტებში დაფიქსირდა IL-2-ის მნიშვნელოვნად მომატებული დონე და IL-33-ის შედარებით დაბალი კონცენტრაცია, რაც მიუთითებს Th1/Th2 იმუნური ბალანსის Th1 მიმართულებით გადახრაზე. IL-2 შეიძლება ჩაითვალოს სისტემური ანთების მნიშვნელოვან ბიომარკერად, ხოლო მიღებული მონაცემები ადასტურებს ციტოკინური პროფილების ჩაღრმავებული კვლევების საჭიროებას, რომელიც მიზნად დაისახავს ანთებითი ციტოკინებისა და სისხლის უჯრედული ფარდობითი ინდექსების ინტეგრაციას კლინიკურ პრაქტიკაში.